

მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი

თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ჭიათურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ჭიათურის პლატოსა და მდინარე ყვირილის ვიწრო ხეობაში, გომი-საჩხერე-ზესტაფონის საავტომობილო გზის გარშემო, რომელსაც ესაზღვრება აღმოსავლეთით - საჩხერის, სამხრეთ-დასავლეთით - ზესტაფონის, დასავლეთით - თერჯოლის, ჩრდილოეთით - ამბროლაურის, ჩრდილო-დასავლეთით - ტყიბულის და სამხრეთით - ხარაგაულის მუნიციპალიტეტები.

დედაქალაქიდან 192 კმ-ის დაშორებით თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 234 კმ-ის დაშორებით, იმერეთის რეგიონის ცენტრიდან ქალაქი ქუთაისიდან 73 კმ-ის დაშორებით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 96 კმ-ით დაშორებული (1 სთ და 50 წუთის სავალი დროით) .

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ჭიათურა. მანძილი ქ. თბილისსა და ჭიათურას შორის 192 კმ – ია. ჭიათურის მუნიციპალიტეტი მოიცავს 16 მუნიციპალურ ერთეულს: ქალაქ ჭიათურას, 13 თემს (გეზრული, ვაჭევი, ზოდი, ითხვისი, კაცხი, მანდაეთი, ნიგოზეთი, პერევისა, სარქველთუბანი სვერი, ქვაცხე, წირქვალი, ხვაშითი) და 2 სასოფლო თემს(რგანი, ხრეთი). ჭიათურის მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი 60 სოფლიდან 20 მაღალმთიანი სოფელია.

მუნიციპალიტეტის მთლიანი ფართობი 542 კმ²–ია, საიდანაც 75,4% ანუ ძირითადი ნაწილი მთიანია, 20% - გორაკბორცვიანი, 4,6%–მდე - დაბლობი. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 650 მ–ია. ფართობის მოცულობა რეგიონთან (6518,8კმ²)8,3%, ხოლო ქვეყანასთან (69700 კმ²) 0,77 %. **გზების სიგრძე-----.**

ჭიათურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის რიცხოვნობა 39 800 კაცია, რაც რეგიონის მოსახლეობის (703300 კაცი) 5,7%, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის 3723500 კაცი) 1.1%-ია.

ქალაქად მცხოვრები – 12 800 ადამიანი, ხოლო სოფლებში 27 000 ათასი ადამიანი ცხოვრობს. 0–დან 6 წლამდე ასაკის 3000–მდე ბავშვი და 6–დან 18 წლამდე ასაკის 5300–მდე მოზარდი.

მოსახლეობის სიმჭიდროვეა 73 კაცი კმ²–ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კმ²) აღემატება.

მუნიციპალ იტ ეტის ტ ერიტ ორიაზ ე სუ ლ 12 650 პენსიის მიმღები ბენეფიციარია, მუნიციპალ იტ ეტ ში ცხო ვრო ბს შეზ ღუ დ უ ლ ი შესაძლ ებლ ობის მქონე 1785 პირი, მათ შორის 350 პირველ ი ჯ გუ ფის ინვალ იდ ი და 1435 მეორე ჯ გუ ფის ინვალ იდ ი.

2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა ბიუჯეტში ცამეტი ცვლილების შედეგად განისაზღვრა 37909582 ლარით.

ჭიათურაში საკმაოდ ნოტიო ზღვის სუბტროპიკული ჰავაა, იცის ზომიერად ცივი ზამთარი და შედარებით მშრალი, ცხელი ზაფხული. ჰაერის საშუალო ტემპერატურაა +13%, იანვარი +2%, ივლისი +23%, აბსოლუტური მინიმუმი -20, აბსოლუტური მაქსიმუმი +42 ნალექები 1100 მმ. წელიწადში. საშუალო წლიური ტენიანობა - 70%-ია. ძირითადად

გავრცელებულია დასავლეთის მიმართულების ქარი, ქარის საშუალო სიჩქარე წელიწადში 10–15 კმ/სთ. ნიადაგი ძირითადად ნემომპალაკარბონატულია.

სოფლის მეურნეობაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის 20%-მდე, ანუ 10840 ჰა, აქედან სავარგული 7,2% ე.ი. 2562ჰა, საიდანაც სახნავს უჭირავს - 1699 ჰა, მრავალწლიან ნარგავებს - 1283ჰა, მათ შორის ვაზს - 932ჰა, დანარჩენი სამოვარი და სათიბია.

ჭიათურის მუნიციპალიტეტიში მთავარი მდინარეა ყვირილა, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას თითქმის ორ თანაბარ ნაწილად ყოფს. მისი სიგრძე მუნიციპალიტეტის ფარგლებში 20 კმ-ია. მდინარის შენაკადებია ჯრუჭულა, სამალიხევი და სხვა.

მუნიციპალიტეტის თითქმის მთელი ტერიტორია მიეკუთვნება მთიან ზონას და ხასიათდება რთული ლანდშაფტურ-კლიმატური პირობებით, რის გამოც იგი არათანაბრადაა ათვისებული. დასახლებული პუნქტები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა ხეობებში. რელიეფი ძლიერ დანაწევრებულია მდ. ყვირილას და მისი შენაკადების მიერ, რაც ქმნის პირობებს ღვარცოფების და მეწყრული სხეულების ჩასახვა-ჩამოყალიბებისთვის.

ჭიათურის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სამრეწველო რაიონს.იგი მდიდარია მანგანუმის,კვარცის ქვიშისა და მარმარილოს საბადოებით.დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში ხორციელდება მანგანუმისა და კვარცის ქვიშის მოპოვება,სადაც დასაქმებულია 4000-მდე მუშა-მოსამსახურე.

თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

მუნიციპალიტეტის 2020-2023 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები						
დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროგნოზი	2021 წლის პროგნოზი	2022 წლის პროგნოზი	2023 წლის პროგნოზი
შემოსავლები	22134.312	27681.745	19949.600	22947.2	24968.3	26396.7
გადასახადები	2813.598	9694.100	11967.7	14430.6	16236.4	17444.5

გრანტები	10681.550	9362.446	230.0	230.0	250.0	260
მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტები	10681.550	9362.446	230.0	240.0	250.0	260
სხვა შემოსავლები	8639.170	8625.199	7751.900	8276.0	8481.9	8692.2
ხარჯები	10682.433	15494.8	14933.7	15371.4	15799.4	16274.4
შრომის ანაზღაურება	2138.885	2249.7	2797.700	2964.0	2964.0	2964.0
საქონელ ი და მომსახურება	684.629	2392.109	1238.3	1107.1	1125.1	1138.1
ძირითად ი კაპიტალის მომსახურება						
პროცენტ ი	70.795	75.5	43.9	36.8	29.8	22.8
სუბსიდი ები	6505.830	7908.7	9007.5	9407.7	9764.5	10273.5
გრანტები	50.551	41.0	3.5	4.0	4.0	4.0
სოციალუ რი უზრუნველყო ფა	951.940	1450.044	1541.800	1594.0	1654.0	1684.0
სხვა ხარჯები	279.803	1377.705	301.000	258.0	258.0	188.0
საოპერაციო საღდო	11451.879	12187.0	5015.9	7575.8	9168.9	10122.3
არაფინანსურ ი აქტივების ცვლილება	5855.296	22392.8	4939.1	7499.0	9092.1	10045.5
ზრდა	5886.498	22414.824	4991.1	7554.8	9150.8	10106.8
კლება	31.202	22.0	52.0	55.8	58.7	61.3
მთლიანი საღდო	5596.600	10205.8	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	5596.6	5596.583	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	5596.583		0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	10205.8	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებ ების ცვლილება	0.0	0.0	-76.8	-76,8	-76,8	-76,8
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

რეო	საგა		0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აო	საშინ	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	კლება	0.0	0.0	76.8	76.8	76.8	76.8
რეო	საგა						
აო	საშინ	0.0	0.0	76.8	76.8	76.8	76.8
	ბალანსი	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00

ა) 2020 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო განისაზღვება 0.0 ათასი ლარით;

ბ) 2020 წლის ბოლოსათვის მუნიციპალიტეტის მიერ არებული ვალის საერთო ზღვრული მოცულობა განისაზღვრება გასული 3 საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების საშუალო წლიური ოდენობის 9 პროცენტით (კანონით დადგენილი ზღვარი 10%).

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება


2018 წელი - ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2017 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებით 13202.0 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია სულ 5647.3 ათასი ლარის ოდენობით, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 5415.3 ათასი ლარი და დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები

განისაზღვრა 7531.1 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 3080.0 ათასი ლარი გადასახადების სახით და 4451.1 ათასი ლარი სხვა შემოსავლების სახით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **35.0** ათასი ლარი.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2018 წლის იანვარ - დეკემბერში ბიუჯეტის მიმართ 7-ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 22165.5 ათასი ლარით. აქედან გრანტები შეადგენს 10681.5 ლარს. მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 5415.3 ათასი ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად **232.0** ათასი ლარი. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5034.2 ათ ლარი, რომელიც მიმართული იქნა სოფელ, მემორიალი-რგანი-ხრეთის, სარქველეთუბნის, ქვაციხე-ვაჭევის, ქვაციხე-ჯვარიეწერის, ხვაშითის და ბილის საავტომობილო გზის, სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად, და სოფელ ვაჭევის სკოლის რეაბილიტაციისათვის.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა **11452,8** ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები **2813,6** ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები **8639,2** ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა **31,2** ათასი ლარით.

2018 წლის 01 იანვრისათვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **4588,1** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **610,4** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **3977,7** ათას ლარს . მათ შორის:

ნაშთი 2018 წლის 01 იანვრისათვის	თანხა (ლარებში)
სულ	4588119,42
მ.შ: - რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკარგულება	5591.17
- მიწის ძვრით დაზარალე.დასახმარებ2012 წლის 26 .05 #972 განკ.	15400
საქ .მთ.17.05.13#466 დადგ სოფლის პროგრამა	4531,48
საქ.მთ.04.04.13#311განკრეგიონშიგანსახორც.პროექტები	67839.48
საქ.მთავ. 20.03.2014წ #471 განკ. სოფლის პროგრამა	7359.36
საქა.მთ.12.03.2015წ#506განკ.სოფ.მხარდაჭ.პროგრამა	17443.27
საქართველოს მთ. 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკ	8183.94
საქართ მთ. განკარგ #1967 2015 წლის 14 სექტემბრის (საიაღვრე არხ.)	34749
საქართ. მთ. 04.02.2016 წ #175	0.85
საქართ.მთ.24.11.2017წ #2466 განკ.საპროექტ და სამშ. სამუშაოები	48552
საქ. მთ 19.02.2016წ #265 განკ. სოფლის პროგრამა	69817.5

საქ. მთ. 13.06.2017 წ #1213 განკ. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლად.	150000
საქ. მთ. 12.07.2017წ 1454 განკ. წყლის სის. რეაბ.	180921
სულ ცენტ. ბიუჯეტიდან	610389.05
სულ საკუთარი ნაშთი	3977730.37

:

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის IV კვარტლის (იანვარ-დეკემბრის თვის) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ანალიზი


დასახელება	გეგმა(12თ ჰე)	საკასო(12თ ჰე)	პროცენტ ი
შემოსავლები	20775.8	22134.3	106.5
გადასახადები	3080.0	2813.6	91.3
გრანტები	11261.9	10681.5	94.8
სხვა შემოსავლები	6433.9	8639.2	134.3
არაფინანსური აქტივების კლება	23.6	31.2	132.2
სულ შემოსულობები	20799.4	22165.5	106.6
ფინანსური აქტივების კლება			
ფინანსური აქტივების ზრდა			
<i>სულ ფ/ა ცვლილებების ჩათვლით</i>	<i>25284,1</i>	<i>16569.0</i>	<i>65.5</i>

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტლის (იანვარ-

დეკემბრის) თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) საპროგნოზო მაჩვენებელი ნაშთის ცვლილების გარეშე განისაზღვრა **20799.4** ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა **22165.5** ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 106.5 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით **2055.4** ათასი ლარით მეტი შემოსულობებია ბიუჯეტში შემოსული. შემოსულობების ზრდის ტემპი გასულ წელთან შედარებით შეადგენს 110.2%-ს.

მეოთხე კვარტალში (იანვარ-დეკემბრის თვეში) ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება) გეგმით განსაზღვრული იყო 4477.4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურად შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯებს 5596.6 ათასი ლარით, რის შედეგად ნაცვლად კლებისა გაიზარდა ფინანსური აქტივი(ნაშთი).

სახეობების მიხედვით 2018 წლის IV კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში



შემოსავლები

როგორც დიაგრამებიდან ჩანს ფაქტიურ ბიუჯეტში ადგილობრივი შემოსავლების წილი გაიზარდა გეგმით განსაზღვრული 46%-დან 52%-მდე და შემცირდა გრანტების წილი 52 %-დან 48 %-მდე. ჭიათურის მუნიციპალიტეტის

2018 წლის იანვარ-დეკემბრის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

I გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 2813.6 ათასი ლარი, გეგმის 3080.0 ათასი ლარის 91.3 %. (როგორც დიაგრამაზეა ნაჩვენები გადასახადები მთლიან ბიუჯეტში შეადგენს შემოსავლების 13%-ს.) მათ შორის:

საშემოსავლო გადასახადი მეწარმე ფიზიკური პირებიდან შემოსულია 609.3 ათასი ლარი, საპროგნოზო მაჩვენებლის 580.0 ათასი ლარის 105.0 %.

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 1051.8 ათასი ლარი, გეგმის 835.0 ათასი ლარის, 126.0%, სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებიდან, 1076.1 ათასი ლარი, გეგმის 1640.0 ათასი ლარის, 65.6 %.

გრანტები. საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 10681.5 ათას ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი _ 5415.3 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232.0 ათასი ლარი, სპეციალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 5034.2 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები: 2018 წლის ბიუჯეტის ფაქტიურ შემოსავლებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა შეადგინა მთლიანი ბიუჯეტის 39% ნაცვლად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული 33.7%-ისა, რაც ამ სახეობების შემოსავლების ზრდის ტემპის მაღალ მაჩვენებელზე მიუთითებს. მეოთხე კვარტლის (იანვარ-დეკემბრის) გეგმით განსაზღვრული 6433.9 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 8639.2 ათასი ლარი შეადგინა, გეგმის 134.3 %. მათ შორის: პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 442.1 ათ ლარი, გეგმის 288.7 ათასი ლარის 153.1%, ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 6517.6 ათ. ლარი გეგმის (4940.2 ათასი ლარის) 132.9 %. მათ შორის

წიალით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 6492.4 ათ. ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 22.2 ათ. ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 21.8 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოღებიდან 2.3 ათ. ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 8.3 ათ. ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 20.9 ათ. ლარი, (გეგმა 20.5 ათასი ლარი) გეგმა შესრულებულია 100 %-ით, მიწის იჯარა 2.5 ათ (გეგმა 1.6 ათასი ლარი). შესრულებულია 156.2%-ით. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 7.1 ათ.ლარი, (გეგმა 5.0 ათ. ლარი), სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1274.7 ათასი ლარი, გეგმის 1012.0 ათასი ლარის 126.0 %, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 11.3 ათ. ლარი, გეგმის 25.0 ათასი ლარის 45.2%, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 0.8 ათასი ლარი, (გეგმა არ იყო გათვალისწინებული) სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 184.1 ათ. ლარი, (გეგმა 160.0 ათასი ლარი) შესრულებულია 115.1 %-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 144.9 ათას ლარს, სხვადასხვა დარგში ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 39.2 ათას ლარს.


შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი (ხელშეკრულებების ვადის დარღვევისთვის) შემოსულია 201.5 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ - დეკემბრის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 31.2 ათ. ლარი, გეგმით უნდა შემოსულიყო 23.6 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 132.2 %-ს. აქედან ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 6.6 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) 24.6 ათასი ლარი,

*ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის IV
კვარტლის (იანვარ-დეკემბრის თვის) ბიუჯეტის ასიგნებები*

მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის წლიური გადასახდელები განისაზღვრა 25284.1 ათასი ლარით. გაწეულმა საკასო გადასახდელებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 16569.0 ათასი ლარი, გადასახდელების წლიური გეგმა ათვისებულია 65.5 %, მათ შორის მიმდინარე საკასო ხარჯები შეადგენს 10680.2 ათას ლარს, არაფინანსური აქტივების შეძენაზე გახარჯულია 5888.8 ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან



ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის IV კვარტლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას მოხმარდა 2018 წლის 12 თვეში 2891.5 ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების 3342.9 ათასი ლარის 86.5 % მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 2824.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა 67.1 ათასი ლარი, გასული წლის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა 634.7 ათ. ლარი. დაფინანსდა 90.6 %-ით. (გეგმა 700.6 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტის მერიის დასაფინანსებლად 2254,6 ათ. ლარი, დაფინანსდა 87,7 %-ით (გეგმა 2570.4 ათ.ლარი). თანამშრომელთა გადამზადებაზე გაიხარჯა 1.3 ათასი ლარი. გეგმა შეადგენდა 26.0 ათას ლარს.
2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა იანვარ-

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტისგადასახდელების მეოთხე კვარტლის შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)			
დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3342.9	2891.5	86.5
თავდაცვა	125.2	123.1	98.3
ეკონომიკური საქმიანობა	9765.7	4673.9	47.8
გარემოს დაცვა	1830.1	1399.0	76.4
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	3043.5	825.1	27.1
ჯანმრთელობის დაცვა	156.0	154.0	98.7
კულტურა,რელიგია,სპორტი,	3365.4	3225.5	95.8
განათლება	2479.9	2282.5	92.0
სოციალური დაცვა	1175.4	994.4	84.6
სულ ხარჯები	25284.1	16569.0	65.5

დეკემბრის თვეში 29064 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი

კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ ა) 4972 ლარი გაიცა მერის 12.01.2018 წლის N51 55 ბრძანების შესაბამისად მერია, საკრებულო, თავდაცვის ინტერნეტის, გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნების ხარჯის, ტელევიზიის მომსახურების ხარჯისა და საფოსტო მომსახურების ხარჯების დასაფარავად. ბ) 2546 ლარი გაიცა მერის 12.01.2018წ. N51 52 ბრძანების შესაბამისად ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების ხარჯიდან ინტელექტუალური შემოქმედებითი ღონისძიებების დავალიანების დასაფარავად. დ) სასამართლოს გადაწყვეტილებით სტიქიური უბედურებებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მერის 15.02.2018წ. N51 289 ბრძანების შესაბამისად გაიცა 3514 ლარი და 13.04.2018წ.N51634 ბრძანების შესაბამისად 3904 ლარი. ე)1146 ლარი გაიცა მერის 16.02.2018 წლის N51 294 ბრძანების შესაბამისად მერიის ტრანსპორტის ხარჯის დავალიანების დასაფარავად. ვ) 12482 ლარი გაიცა მერის 25.01.2018წ. N51 116 ბრძანების შესაბამისად გზების სარეაბილიტაციო ხარჯების დავალიანების დასაფარავად. ზ) 500 ლარი გაიცა მერის 16/10/2018 წლის N 51 2352 ბრძანების შესაბამისად პროცენტის ხარჯის დასაფარად.

3. მერის სარეზერვო ფონდიდან 2018 წლის IV კვარტალში (იანვარ-დეკემბრის თვეში) გამოყოფილი იქნა 179894 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის: ა) მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 10 იანვრის N51 39 ბრძანების შესაბამისად ჭიათურა- სოფ. ხრეთში სტიქიით დაზიანებული გზის აღსადგენად გამოყოფილი იქნა7500ლარი.ბ) მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 2 თებერვლის N 51 223 ბრძანების შესაბამისად ჭიათურაში აღმაშენებლის ქ.N27-სა და N29 შორის და ინტერნაციონალის ქუჩაზე საყრდენი კედლის აღდგენისათვის 12366 ლარი, ჭიათურის N6 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაციისათვის 4710 ლარი. გ) მერის 2018 წლის 25 იანვრის N51 112 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 23000 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლის აღდგენისათვის ინტერნაციონალის ქN25-სა და აღმაშენებლის ქN27-ში, ასევე N6 საბავშვო ბაღის სახურავის აღდგენისათვის 2000 ლარი. დ) მერის 2018 წლის 14 თებერვლის N51 279 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 44022 ლარი აბაშიძის ქN16-ში ხანძრის შედეგად

დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის აღსადგენად. ე) მერის 2018 წლის 12 მარტის N51 427 ბრძანებით გამოყოფილი იქნა 33018 ლარი ცხოვრებადის ქ.N46-ში, 9 აპრილის ქუჩასა და ბარათაშვილის ქ.N18- ში სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხების აღსადგენად, 24941 ლარი სტიქიის შედეგად დაზიანებული საყრდენი კედლების აღსადგენად ცხოვრებადის ქ.N32-სა და გიორგაძის ქ.N31 ში. ვ) მერის 2018/03/12 N51 2656, 2018/06/12 N 51 2776, 2018/11/12 N51 2804 და 2018/14/12 N 51 2833 ბრძანებებით გამოყოფილი იქნა სულ 28337 ლარი საცხოვრებელი სახლების გადახურვის მასალების შესაძენად ქ.ჭიათურაში და ჭიათურის სოფლებში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

4. თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოების დაფინანსებას მოხმარდა **123,1** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 98.3 %-ით (გეგმა **125.2** ათ. ლარი).

5. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულება 2018 წლის იანვარ - დეკემბრის თვეში შეადგენს **6898.1** ათას ლარს, დაფინანსდა 47,1 %-ით (გეგმა **14639.3** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **4482.6** ათასი ლარი (გეგმა 8678.5 ათასი ლარი დაფინანსების პროცენტი 51.6-%), საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 4287.6 ათასი ლარი (გეგმა 8373.2 ათ. ლარი), საბაგირო გზების სუბსიდირებას გეგმური 195.0 ათასი ლარი. ბ). კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას მოხმარდა **2120.1** ათასი ლარი, დაფინანსდა 40.5 %-ით (გეგმა 5234.4 ათასი ლარი), აქედან წყალმომარაგების სისტემის აღდგენაზე გაიხარჯა 170.9 ათ.ლარი (გეგმა 503.3 ათ.ლარი, დაფინანსდა 34.0 %-ით), სანიაღვრე არხების აღდგენაზე 230.0 ათ. ლარი (გეგმა 457.1 ათ. ლარი), კეთილმოწყობისა და დასუფთავების სერვის ცენტრის ანგარიშზე ქალაქის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გასახორციელებლად გადარიცხული იქნა 1369.0 ათასი ლარი (გეგმა 1373.0 ათ. ლარი), საყრდენი კედლის მოწყობაზე გაიხარჯა 113.1 ათასი ლარი (გეგმა 934.9 ათ.ლარი მუნიციპალიტეტის

ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე გაიხარჯა 357.6 ათასი ლარი (გეგმა 1856.0 ათ. ლარი), მათ შორის: მრავალსართულიანი ლიფტების აღსადგენად გაიხარჯა 88.3 ათასი ლარი, (გეგმა 219.1 ათასი ლარი). საცხოვრებელი სახლებისათვის სახურავის აღდგენა, სახურავის მასალის შეძენაზე გაიხარჯა 10.7 ათასი ლარი, (გეგმა 154.9 ათასი ლარი). საცხოვრებელი ფასადებზე მიმართული იქნა 258.6 ათასი ლარი (გეგმა 1480.8 ათასი ლარი). გარე განათების აღდგენა- მოვლა პატრონობაზე 79.6 ათ.ლარი (გეგმა 110.2 ათ. ლარი). გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე (სკვერების მოვლა პატრონობაზე) 217.1 ათ.ლარი (გეგმა 531.7 ათ. ლარი) დაფინანსდა 40.8%-ით. დ). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **78.2** ათასი ლარი (გეგმა 152.4 ათასი ლარი) დაფინანსდა 51.3%-ით.

6. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **2282.5** ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსებაზე, დაფინანსდა 92.0 %-ით (გეგმა **2479.9** ათ. ლარი), აქედან 2203.4 ათასი ლარი გაცემულია ხარჯების სახით, 79.1 ათ. ლარი არაფინანსური აქტივების შესაძენად საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

7. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 95.8 %-ით გეგმით უნდა დახარჯულიყო 3365.4 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 3225.5 ათასი ლარი საიდანაც: 2816.1 ათასი ლარი მიმართული იქნა ხარჯების სახით, ხოლო 409.4 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების შეძენაზე, აქედან: ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა **1245.0** ათასი ლარი, დაფინანსდა 92.6 %-ით (გეგმა 1343.9 ათასი ლარი). ბ) კულტურის განვითარებას მოხმარდა **1813.0** ათ. ლარი (გეგმა 1834.0 ათასი ლარი), დაფინანსდა 98.8 %-ით. გ). ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **107.3** ათასი ლარი. (გეგმა **107.3** ათ.ლარი) დაფინანსდა 100 %-ით. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული სტუდენტების, მოსწავლეების, სპორტსმენების პედაგოგების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების

დაფინანსება.დ). რელიგიის ღონისძიებებზე მიმართული იქნა 40.0 ათასი ლარი. (გეგმა 40.0 ათ. ლარი).

8. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2018 წლის იანვარ-დეკემბერში **1148.4** ათასი ლარი, დაფინანსდა 86.3 %-ით. (გეგმა **1331.4** ათასი ლარი), აქედან:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **113.0** ათ. ლარი. დაფინანსდა 98.3 % (გეგმა **115.0** ათ.ლარი).

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **994.4** ათასი ლარი, დაფინანსდა 84.6 %-ით (გეგმა **1175.4** ათ.ლარი). მათ შორის: 1. ავადმყოფთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **447.7** ათ. ლარი (გეგმა 518.8 ათ. ლარი), აქედან სამკურნალო-საოპერაციო და სამედიცინო გამოკვლევების თანადაფინანსებაზე გაიხარჯა 335.9 ათასი ლარი, , ჰემოდიალიზს დაქვემდებარებულ პირთა ყოველთვიურ დახმარებაზე 24.3 ათასი ლარი, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დეახმარებაზე 67.2 ათასი ლარი, სიცოცხლისათვის საშიში და იშვიათი დაავადებების მქონე პირთა დახმარებაზე 20.0 ათასი ლარი, რადიაქტიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად დაავადებულ შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა დახმარებაზე **0.3** ათასი ლარი.

2. უმწეო და მიუსაფარი 165 მოქალაქის კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **118.2** ათასი ლარი (გეგმა 128.5ათ. ლარი).

3. მოსახლეობის სოც.დაცვაზე გახარჯულია 46.5 ათასი ლარი (გეგმა 52.7 ათასი ლარი). აქედან ხანდაზმულთა ერთჯერად ფულად დახმარებაზე გაცემულია 33.6 ათასი ლარი, დევილთა სოციალურ დაცვაზე 2.7 ათასი ლარი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გარდაცვლილთა ოჯახების დასახმარებლად **1.2** ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულთა ერთჯერად დახმარებაზე 9.0 ათასი ლარი.

4. ომის ვეტერანთა დახმარებაზე 63.3 ათასი ლარი (გეგმა 65.4 ათ. ლარი).

5. ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **1.5** ათ.ლარი (გეგმა 5.0 ათ. ლარი),

6. ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე მიმართული იქნა **261.8** ათ. ლარი (გეგმა 291.6 ათ. ლარი), აქედან ახალშობილთა ოჯახების სოციალურ დაცვაზე 136.8 ათასი ლარი, მრავალშვილიანი ოჯახების სოციალურ დაცვაზე 11.5 ათასი ლარი, შეჭირვებულ ოჯახთა სოციალურ დაცვაზე 98.1 ათასი ლარი, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებში მცხოვრებ ოჯახთა დახმარებაზე 15.4 ათასი ლარი.

7. სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გაიცა **55.4** ათასი ლარი (გეგმა 107.8 ათ. ლარი).

8. საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკარგულებით გამოყოფილი რეგრესის პენსიის გეგმიური ნაშთი შეადგენს **5.6** ათას ლარს, რომელიც გახარჯული არ არის.

2019 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **10184.7** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **2486.0** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **7698.7** ათას ლარს . მათ შორის:

#	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა(ლარებში)
1	2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	10184675
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	მიწის ძვრით დაზარალ.დასახმარებ #972 განკ.	15400
5	საქ .მთ.17.05.13#466 დადგ. სოფლის პროგრ.	4531.58
6	საქ.მთ.04.04.13#311 განკ რეგიონში განსახ.პროექტ.	67839.48
7	საქ.მთავ. 20.03.2014წ #471 განკ. სოფლის პროგრამა	7359.36
8	საქა.მთ.12.03.2015წ#506განკ.სოფ.მხარდაჭ.პროგრ	17443.27
9	საქართ. მთ. 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკ	8183.94
10	საქ.მთ.განკ#1967 14,09.2015წ (სანიღვრე არხ.)	34749
11	საქართ.მთ 19,02,2016წ#265განკ.სოფლის	29395.32

	პროგრამა	
12	საქართველოს მთ.13.06.2017წ.1213 სტიქიის შედეგ.სალიკვიდაც.ღონისძ.განსახორციელებლად	150000
13	საქ. მთავრ.12.07.2017წ.N 1454 წყლის სისტ. რეზ.	180921
14	საქ. მთ.განკ.06.04.2017წ.N693 წყლის სისტ. რეზილიტ.	50960
15	საქ. მთ. განკ. #480 14.03.2017წ.	0.85
16	საქ. მთ. 18.01.2018.წ #136გან. გზების რეზ.	1828964.28
17	მიზნობრივი ტრანსფერი	5800
18	საქ. მთ 29.10.2018 წ # 1994გან სკოლების რეზ.	78805.11
19	სულ ც/ ბიუჯეტიდან	2485944.36
20	საკუთარი ნაშთი	7698730.64

2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის მაჩვენებლები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის I კვარტლის ბიუჯეტის (იანვარ - ივნისის თვის)


შესრულების ანგარიში

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 21 დეკემბერს N57 დადგენილებით 16189.33 ათასი ლარის ოდენობით. დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა განსაზღვრულია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232,0 ათასი ლარი. ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 15951.33 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის 2200 ათასი ლარი გადასახადების სახით, 7494.1

ათასი ლარი დამატებითი ღირებულების სახით. 6257.23 ათასი ლარი სხვა შემოსავლების სახით.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა 6.0 ათასი ლარი.

შემოსავლები ხვედრითი წილის მიხედვით მთლიან ბიუჯეტში ასე გამოიყურება:



2019 წლის იანვარ - ივნისში ბიუჯეტის მიმართ 8 -ჯერ განხორციელდა ცვლილება და ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 25100.5 ათასი ლარით. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები ტრანსფერები შედგენს 7817.4 ათასი ლარს. აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 232.0 ათას ლარს. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 1253.4 ათას ლარს, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების

ფონდიდან 5520.0 ათ ლარს, სოფლის მხარდამჭერი პროგრამების განსახორციელებლად 812.0 ათას ლარს.

ადგილობრივი შემოსავლები განისაზღვრა 17277.1 ათასი ლარით, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები 9694.1 ათასი ლარი, არასაგადასახადო შემოსავლები 7583.0 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებით შემოსავალი განისაზღვრა 6.0 ათასი ლარით.

2019 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა 10184.7 ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე 2486.0 ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე 7698.7 ათას ლარს . მათ შორის:

N	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა(ლარებში)
	2019 წლის 01 იანვრის მდგომარეობით სულ	10184675
	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
1.	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ. 5591.17	5591.17
2.	მიწის ძვრით დაზარალ.დასახმარებ #972 განკ.	15400
3.	საქ.მთ.17.05.13#466 დადგ. სოფლის პროგრ.	4531.58
4.	საქ.მთ.04.04.13#311 განკ რეგიონში განსახ.პროექტ.	67839.48
5.	საქ.მთავ. 20.03.2014წ #471 განკ. სოფლის პროგრამა	7359.36
6.	საქა.მთ.12.03.2015წ#506განკ.სოფ.მხარდაჭ.პროგრ	17443.27
7.	საქართ. მთ. 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკ	8183.94
8.	საქ.მთ.განკ#1967 14,09.2015წ (სანიღვრე არხ.)	34749
9.	საქართ.მთ 19,02,2016წ#265განკ.სოფლის პროგრამა	29395.32
10.	საქართველოს მთ.13.06.2017წ.1213 სტიქიის შედეგ.სალიკვიდაც.ლონისძ.განსახორციელებლად	150000
11.	საქ. მთავრ.12.07.2017წ.N 1454 წყლის სისტ. რებ.	180921
12.	საქ. მთ.განკ.06.04.2017წ.N693 წყლის სისტ. რებილიტ.	50960
13.	საქართ. მთ. 04.02.2016 წ #175განკ.	0.85

14.	საქ. მთ. 18.01.2018.წ #136გან. გზების რეაბ.	1828964.28
15.	მიზნობრივი ტრანსფერი	5800
16.	საქ. მთ 29.10.2018 წ # 1994გან სკოლების რეაბ.	78805.11
	სულ ც/ ბიუჯეტიდან	2485944.36
	საკუთარი ნაშთი	7698730.64

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის II კვარტლის (იანვარ-ივნისის თვის) ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ანალიზი


დასახელება	გეგმა	საკასო	პროცენტი
შემოსავლები	10500.1	10114.4	96.3
გადასახადები	4994.8	5188.0	103.8
გრანტები	2220.9	1813.6	81.7
სხვა შემოსავლები	3284.4	3112.7	94.8
არაფინანსური აქტივების კლება	6.0	22.1	368.3
სულ შემოსულობები	10506.1	10136.4	96.5
ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება)	5001.1	2874.5	
ფინანსური აქტივების ცვლილება (ზრდა)			
სულ შემოსულობები ფ/ა კლების ჩათვლით	15507.2	13010.9	83.1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის (იანვარ-ივნისის) თვის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) გარეშე განისაზღვრა 10506.1 ათასი ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილების (კლება) ჩათვლით 15507.2 ათასი ლარით), საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 10136.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 10506.1 ათასი ლარის 96.5 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ბიუჯეტში შემოსულია **2313.9** ათასი ლარით მეტი შემოსულობები. (2018 წლის იანვარ-ივნისის ფაქტიური შემოსულობები შეადგენდა 7822.5 ათას ლარს).

საანგარიშო პერიოდში ნაშთის გამოყენება გეგმით განისაზღვრა 5001.1 ათასი

ლარით, ხოლო ფაქტიურად გამოყენებული იქნა 2874.5 ათასი ლარი.

სახეობების მიხედვით 2019 წლის II კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ხვედრითი წილი მთლიან ბიუჯეტში



შემოსავლები

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის იანვარ-ივნისის თვის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლებიდან (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები):

I. გადასახადების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 5188.0 ათასი ლარი, ექვსი თვის გეგმის 4994.8 ათასი ლარის 103.8 % და წლიური გეგმის 9694.1 ათასი ლარის 53.5% და როგორც დიაგრამიდან ჩანს მთლიანი ბიუჯეტის შემოსავლების 51%, ანუ ექვს თვეში შემოსავლების ნახევარზე მეტი გადასახადებზე მოდის. სახეობების მიხედვით:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 1730.1 ათასი ლარი, ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 173.0%-ით (გეგმა 1000.0 ათ. ლარი) სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწიდან ქონების გადასახადი, როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებიდან, 22.9 ათასი ლარი,(ექვს

თვეში გეგმით გათვალისწინებული არ ყოფილა). დამატებითი ღირებულების გადასახადი 3435.0 ათასი ლარი. დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა შესრულებულია 86.0 %-ით. (გეგმა 3994.8 ათ. ლარი).

II.გრანტები საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 1813.6 ათას ლარი (გეგმა 2220.9 ათასი ლარი), მთლიან შემოსავლებში გრანტებმა შეადგინა 18 % მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ჩაირიცხა 709.8 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 1103.8 ათასი ლარი.

III სხვა შემოსავლები 2019 წლის მეორე კვარტლის (იანვარ-ივნისის) გეგმით განსაზღვრული 3284.4 ათასი ლარის ნაცვლად ფაქტიურმა შესრულებამ 3112.7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94.8 %-ია. მთლიან შემოსავლებში სხვა შემოსავლების ხვედრითმა წილმა 2019 წლის ექვს თვეში 31% შეადგინა.

სხვა შემოსავლებიდან პროცენტები დარიცხული საბიუჯეტო სახსრების ყოველდღიურ ნაშთზე მომსახურე საბანკო დაწესებულებაში, შემოსულია 202.9 ათ ლარი (გეგმა 60.0 ათასი ლარი), ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი ჩაირიცხა ბიუჯეტში 1554.2 ათ. ლარი გეგმის (2647.4 ათასი ლარის) 58.7 %. მათ შორის წიაღით სარგებლობის მოსაკრებელი ჩაირიცხა 1507.1 ათ. ლარი, ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 4.2 ათ. ლარი, წყლის რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი 40.7 ათ. ლარი, გადამფრენი ფრინველების ამოდებიდან 0.1 ათ. ლარი. სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსების მოსაკრებელი 2.1 ათ. ლარი. შენობა-ნაგებობების იჯარა შემოსულია 11.4 ათ. ლარი, (გეგმა 7.0 ათასი ლარი), მიწის იჯარა 1.0 ათ. ლარი. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი 1.0 ათ.ლარი, (გეგმა 5.0 ათ. ლარი) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 1012.0 ათასი ლარი, გეგმა 500.0 ათასი ლარი. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი 5.5 ათ. ლარი,სხვა მოსაკრებელი 0.2 ათ. ლარი. სანქციებიდან და ჯარიმებიდან შემოსავალმა შეადგინა 127.2 ათ. ლარი, (გეგმა 60.0 ათასი ლარი) შესრულებულია 212.0%-ით. აქედან საგზაო მოძრაობისა და

სატრანსპორტო მეურნეობის წესების დარღვევისთვის შემოსული ჯარიმა შეადგენს 69.9 ათას ლარს, სხვადასხვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის 57.3 ათ.ლარს. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი, (ხელშეკრულებების დარღვევისთვის) შემოსულია 197.3 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების ცვლილებით (კლებით) იანვარ - ივნისის თვეში ბიუჯეტში შემოსულია 22.1 ათ. ლარი, გეგმით უნდა შემოსულიყო 6.0 ათასი ლარი, შესრულება შეადგენს 368.3%-ს. აქედან ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 19.7 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან 0.5 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან 1.9 ათასი ლარი.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის II კვარტლის (იანვარ-ივნისის თვის) ბიუჯეტის ასიგნებები


მუნიციპალიტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის დაზუსტების შედეგად ბიუჯეტის გადასახდელები II კვარტალში (იანვარ - ივნისის თვეში) განისაზღვრა **15507.2** ათასი ლარით. გაწეულმა საკასო ხარჯვამ შეადგინა **13010.9** ათასი ლარი, ათვისებულია გეგმიური მაჩვენებლის **83.9** %. მთლიანი ბიუჯეტიდან მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 7856.4 ათასი ლარი, აქედან საბიუჯეტო დაწესებულებების მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 1061.8 ათასი ლარი, საქონელი დამომსახურებაზე 849.1 ათასი ლარი, პროცენტის გადახდაზე 20.1 ათასი ლარი, სუბსიდიებზე 3969.1 ათასი ლარი, გრანტებზე(თეატრი) 17.2 ათასი ლარი, სოციალურ უზრუნველყოფაზე 857,4 ათასი ლარი, სხვადასხვა ხარჯებზე 1081.7 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების შეძენაზე ექვს თვეში დაიხარჯა 5154.5 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები სახეობების მიხედვით გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში გამოსახულია ქვემოთ დიაგრამაზე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის II კვარტლის ბიუჯეტის ფაქტიური გადასახდელების ხვედრითი წილი ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

გამოსახული პროცენტულ მაჩვენებლებში მთლიან ბიუჯეტთან



ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულება (ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების) ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა	შესრულება	შესრულების %
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2060.8	1718.2	83.4
თავდაცვა	78.1	60.9	78.1
ეკონომიკური საქმიანობა	5010.0	4238.8	84.6
გარემოს დაცვა	882.0	801.9	90.9
საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1705.3	1358.2	79.6
ჯანმრთელობის დაცვა	75.0	60.2	80.3
დასვენება, კულტურა, რელიგია, სპორტი,	2098.6	1890.2	90.1
განათლება	2616.7	1964.1	75.1
სოციალური დაცვა	980.7	918.4	93.6

სულ ხარჯები	15507.2	13010.9	83.9
-------------	---------	---------	------

**ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჭიათურის მუნიციპალიტეტის
2019 წლის II კვარტლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის შესრულების ანალიზი**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებებიდან:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებას მოხმარდა **6 თვეში 1718.2** ათასი ლარი, გეგმიური ხარჯების **2060.8** ათასი ლარის **83.4 %** მ.შ. მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა **1388.6** ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების შეძენას მოხმარდა **329.6** ათასი ლარი. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ასიგნებებიდან საკრებულოს დასაფინანსებლად მიმართული იქნა **316.2** ათ. ლარი. დაფინანსდა **85.7%-ით**. (გეგმა **368.9** ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის მერიის დასაფინანსებლად **1399.5** ათ. ლარი, დაფინანსდა **84.0 %**-ით (გეგმა **1666.2** ათ.ლარი).
2. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გამოყოფილი იქნა ექვს თვეში **54692.58** ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, კერძოდ ა) **18888** ლარი გაიცა მერის **15.01.1019** წლის **N51 61** ბრძანების შესაბამისად სასაჩუქრე პაკეტების დავალიანების დასაფარავად ბ) **397** ლარი გაიცა მერის **18.01.2019წ.** **N51 66** ბრძანების შესაბამისად სახურავი მასალის შეძენის დავალიანების დასაფარავად. დ) **90** ლარი გაიცა მერის **24.01.2019წ.** **N51 101** ბრძანების შესაბამისად თავდაცვის თანამშრომელთა მივლინების დავალიანების დასაფარავად. ე) **17156** ლარი გაიცა მერის **25.01.2019** წლის **N51 117** ბრძანების შესაბამისად ქალაქის გერბის მოწყობის სამუშაოების ღირებულების დავალიანების დასაფარავად. ვ) **515** ლარი გაიცა მერის **06.02.2019წ.** **N51 173** ბრძანების შესაბამისად სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებული ბაჟის გადასახდელად. ზ) **13040.58** ლარი გაიცა მერის **07.02.2019** წლის შპს არტ მშენის

მიერ გზის სამუშაოების ასანაზღაურებელი ხარჯების დავალიანების დასაფარავად. თ) 4038 ლარი გაიცა მერის 28.02.2019 წლის N 51 489 ბრძანების შესაბამისად სასამართლოს მიერ შპს ღია გულის სასარგებლოდ დაკისრებული სამკურნალო საპერაციო ხარჯების დავალიანების ასანაზღაურებლად. ი) 568 ლარი გაიცა მერის 26.03.2019 წლის N 51 708 ბრძანების შესაბამისად სასამართლოს მიერ შპს აკად ო. ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის სასარგებლოდ დაკისრებული სამკურნალო საპერაციო ხარჯების დავალიანების ასანაზღაურებლად.

3. მერის სარეზერვო ფონდიდან 2019 წლის იანვარ - ივნისის თვეში გამოყოფილი იქნა 27370 ლარი, რითაც დაზუსტდა ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაციის კოდები და მუხლები, მათ შორის: ა) მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის პირველი თებერვლის N51 156 ბრძანების შესაბამისად მერიის ადმინისტრაციული შენობის კანალიზაციის ხარჯისთვის გამოყოფილი იქნა 650 ლარი. მუნიციპალიტეტის მერის 03.04.2019 წლი N51 776 ბრძანების შესაბამისად სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადასახურავი მასალის შესაძენად გამოყოფილი იქნა 20850 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 22.04.2019 წლის N51 935 ბრძანების შესაბამისად სოფელ წირქვალში ბრეგვაძეებისა და ჭიტაძეების უბანში საყრდენი კედლის მოწყობისათვის 5470 ლარი, მუნიციპალიტეტის მერის 01.07.2019 წლის N51 1412 ბრძანების შესაბამისად სოფელ მღვიმევში დაზიანებული კანალიზაციის ქსელის აღსადგენად 400 ლარი.
4. თანამშრომელთა გადამზადების პროგრამაზე დაიხარჯა 2.5 ათასი ლარი, გეგმა შეადგენდა ექვს თვეში 13.0 ათას ლარს
5. თავდაცვას, საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოების დაფინანსებას მოხმარდა 60.9 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე იქნა მიმართული. დაფინანსდა 78.1 %-ით (გეგმა 78.0 ათ. ლარი).
6. მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე გამოყოფილი ასიგნებების საკასო შესრულება 2019 წლის იანვარ - ივნისის თვეში თვეში შეადგენს 6398.9 ათას ლარს, დაფინანსდა 84.2 %-ით

(გეგმა **7597.3** ათასი ლარი) მათ შორის: ა). საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვაზე გაიხარჯა **4082.0** ათასი ლარი, დაფინანსდა 95.4%-ით (გეგმა 4277.5 ათასი ლარი) საიდანაც გზების რეაბილიტაციას მოხმარდა 3969.9 ათასი ლარი (გეგმა 4153.0 ათასი ლარი), საგზაო ნიშნების დამონტაჟება და მაგისტრალური მონიშვითი სამუშაოები, საგზაო ბარიერების მოწყობა და სხვა სამუშაოებისთვის გაიხარჯა 4.0 ათასი ლარი (გეგმა 4.0 ათასი ლარი), საბაგირო გზების სუბსიდირებას 108.2 ათასი ლარი (გეგმა 120.5 ათასი ლარი) ბ). კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაციას მოხმარდა **2076.4** ათასი ლარი, დაფინანსდა **73.9** %-ით (გეგმა **2810.5** ათასი ლარი), აქედან კეთილმოწყობისა და დასუფთავების სერვის ცენტრის ანგარიშზე ქალაქის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებების გასახორციელებლად გადარიცხული იქნა 801.9 ათასი ლარი (გეგმა 870.7 ათ. ლარი), საყრდენი კედლის მოწყობაზე გაიხარჯა 133.8 ათასი ლარი (გეგმა 508.4 ათასი ლარი), მუნიციპალიტეტის ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე -საცხოვრებელი სახლების ფასადების აღდგენისათვის გაიხარჯა 1140.7 ათასი ლარი, (გეგმა 1415.5 ათასი ლარი). წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე გამოყოფილი 4,6 ათასი ლარის და სანიაღვრე არხების აღდგენაზე გამოყოფილი 11.3 ათასი ლარის ათვისება ექვს თვეში არ მომხდარა. გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებებზე დაიხარჯა 217.5 ათ.ლარი დაფინანსდა 76.3 %-ით (გეგმა 285.1 ათასი ლარი), აქედან 201.1 ათასი ლარი მიმართული იქნა მწვანე ნარგავების განაშენიანება, სკვერების მოვლა- პატრონობაზე (გეგმა 266.8 ათასი ლარი). 16.4 ათასი ლარი ფებით მოსიარულეტასთვის კიბეების, გადასასვლელების მოწყობასა და სხვა ღონისძიებებზე (გეგმა 18.3 ათასი ლარი). დ). სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **23.0** ათასი ლარი. დაფინანსდა 10.3 %-ით გეგმა შეადგენდა ექვს თვეში 224.2 ათას ლარს.

7. განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა **1964.1** ათასი ლარი, დაფინანსდა 75.1 %-ით (გეგმა 2616.7 ათასი ლარი), აქედან სკოლამდელი დაწესებულებების

(გაერთიანებული საბავშვო ბაღი) დაფინანსებაზე მიმართული იქნა 1418.8 ათასი ლარი. დაფინანსდა 81.0 %-ით (გეგმა 1751.9 ათასი ლარი), 545.4 ათასი ლარი მოხმარდა ზოგადი განათლების ხელსეწყობის პროგრამას. კერძოდ ბავშვების საცხოვრებელი ადგილებიდან სკოლამდე ტრანსპორტირებას, საჯარო სკოლების რეაბილიტაციის სხვადასხვა ღონისძიებებს (გეგმა შეადგენდა 863.7 ათას ლარს), ხოლო საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 1.1 ათასი ლარი არ ათვისებულა.

8. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 90.1 %-ით გეგმით უნდა დახარჯულიყო 2098.6 ათასი ლარი, ფაქტიურად დაიხარჯა 1890.2 ათასი ლარი საიდანაც: ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობას მოხმარდა **906.3** ათასი ლარი, დაფინანსდა 85.4%-ით (გეგმა 1060.7 ათასი ლარი), აქედან რაგბის სპორტული სკოლა დაფინანსდა 178.2 ათასი ლარით, N27 სპორტული სკოლა 371.1 ათასი ლარით და ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო სპორტსკოლა 118.9 ათასი ლარით. სპორტული ობიექტების რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 238.2 ათასი ლარი. ბ) კულტურის განვითარებას მოხმარდა **914.9** ათ. ლარი. დაფინანსდა 96.0%-ით (გეგმა 952.6 ათასი ლარი), აქედან N1 სამუსიკო სკოლა დაფინანსდა 144.9 ათასი ლარით, N2 სამუსიკო სკოლა 102.9 ათასი ლარით, სახვითი ხელოვნების სკოლა 30.8 ათასი ლარით, ცენტრალური ბიბლიოთეკა 142.6 ათასი ლარით, კულტურის ცენტრი 477.2 ათასი ლარით, ჭიათურის თეატრს გრანტის სახით გადაერიცხა 16.4 ათასი ლარი, კულტურის ობიექტების რეაბილიტაციის თანხა 3.0 ათასი ლარი დარჩა ათვისებელი. გ). ახალგაზრდული პროგრამების დასაფინანსებლად მიმართული იქნა **38.9** ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელებული იქნა წარმატებული სპორტსმენების, მწვრთნელების ჯილდოების გაცემა, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსება. დაფინანსდა 70.7%-ით (გეგმა 55.0 ათასი ლარი). დ). რელიგიის ღონისძიებებზე გამოყოფილი 30 ათასი ლარი მთლიანად იქნა ათვისებული.

9. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გახარჯული იქნა 2019 წლის ორ კვარტალში **978.6** ათასი ლარი, დაფინანსდა 92.7 %-ით. (გეგმა **1055.7** ათასი ლარი), აქედან:

ა) ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს მოხმარდა **83.6** ათ. ლარი (გეგმა 100.9 ათასი ლარი), აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე დაიხარჯა 60.2 ათასი ლარი (გეგმა 75.0 ათასი ლარი), ჯანმრთელობის ღონისძიებების მხარდამჭერ პროგრამებს 23.4 ათასი ლარი (გეგმა 25.9 ათასი ლარი).

ბ) სოციალურ პროგრამებზე გაიხარჯა **895.0** ათასი ლარი, დაფინანსდა .93.7 %-ით (გეგმა 954.8 ათ.ლარი). მათ შორის: ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოც. დაცვაზე მიმართული იქნა **496.9** ათ. ლარი (გეგმა 522.8 ათასი ლარი) , უმწეო და მიუსაფარი 130 მოქალაქის კვებაზე (უფასო სასადილო) გაიხარჯა **63.9** ათასი ლარი (გეგმა 80.0 ათასი ლარი), ომის ვეტერანთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა ოჯახების დასახმარებლად **58.6** ათასი ლარი (გეგმა 65.2 ათასი ლარი), ომის ვეტერანთა დაკრძალვაზე **1.0** ათ.ლარი (გეგმა 2.5 ათასი ლარი), ოჯახებისა და ბავშვების დახმარებაზე **197.8** ათ. ლარი (გეგმა 218.9 ათასი ლარი), სტიქიური უბედურებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად **39.9** ათასი ლარი (გეგმა 49.1 ათასი ლარი). სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოც დაცვაზე გაიხარჯა **36.9** ათ. ლარი (გეგმა 42.3 ათასი ლარი). მათ შორის ლტოლვილებზე 6.7 ათასი ლარი, ხანდაზმულებზე 12.5 ათასი ლარი, მარჩენალდაკარგულებზე 15.9 ათასი ლარი, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებზე 1.8 ათასი ლარი.

2019 წლის პირველი ივლისისთვის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების ფულადი ნაშთი შეადგენდა **7310.2** ათ. ლარს, აქედან ცენტრალური ბიუჯეტის თანხებზე **2214.0** ათას ლარს, საკუთარ სახსრებზე **5096.2** ათას ლარს . მათ შორის:

#	ფულადი სახსრების ნაშთი	თანხა
---	------------------------	-------

1	2019 წლის 01 ივლისის მდგომარეობით სულ	7310175
2	მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტიდან:	
3	რეგრესის პენსია საქ.პრეზიდ.26.12.07წ #771 განკ.	5591.17
4	მიწის ძვრით დაზარალ.დასახმარებ #972 განკ.	15400
5	საქ.მთ.17.05.13#466 დადგ. სოფლის პროგრ.	4531.58
6	საქ.მთ.04.04.13#311 განკ რეგიონში განსახ.პროექტ.	67839.48
7	საქ.მთავ. 20.03.2014წ #471 განკ. სოფლის პროგრამა	7359.36
8	საქა.მთ.12.03.2015წ#506განკ.სოფ.მხარდაჭ.პროგრ	17443.27
9	საქართ. მთ. 2015 წლის 24 ნოემბრის #2529 განკ	8183.94
10	საქ.მთ.განკ#1967 14.09.2015წ (სანიღვრე არხ.)	34749
11	საქართ.მთ 19,02,2016წ#265განკ.სოფლის პროგრამა	29395.32
12	საქართ. მთ. 04.02.2016 წ #175განკ.	0.85
13	საქ.მთ.18.01.2018 წლისN136 გზების რეაბილიტაცია	1197687.5
14	საქ.მთ.13.06.2017წ.წ#1213განკ.სატიქიის შედეგებისსალიკვიდაც.ღონისძ.განსახორციელებლად	150000
15	საქ.მთ.12.07.2017წ#1454განკ.წყლის სისტემისრეაბილიტ.	180921
16	საქ. მთ. განკ. #693 06.04.2017წ.წყლის რეაბილიტაცია	50960
17	მიზნობრივი ტრანსფერი	1156
18	სკოლების რეაბილიტაცია	78805.11
19	საქ.მთ.31.12.2018წ.N2577 განკ.გზების რეაბილიტ.	13676.28
20	საქ.მთ.18.012019წ.N13 განკ.სკოლების რეაბილიტ.	295566
21	საქ.მთ.18.012019წ.N13 განკ.სკოლების ტრანსპორტი	53025.27
22	საქ. მთავრობი 22.01.2019წN45 განკ.	1735
	სულ ც/ ბიუჯეტიდან	2214026.13

	საკუთარი ნაშთი	5096148.87
--	-----------------------	------------

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკაში მთავარ როლს ასრულებს მანგანუმის, ასევე სხვა სასარგებლო წიაღისეულის (მარმარილო და კვარციანი ქვიშა) მოპოვება. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვაჭრობის სფეროს.

ეკონომიკის განვითარების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „აწარმოე საქართველოში“ და სხვა ფონდების მიერ დაფინანსებული ბიზნეს პროექტები, რომელიც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2.1 სოფლის მეურნეობა

